შპს ნურ ბეიბი ს/კ 438115219

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ნურ ბეიბი ს/კ 438115219
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის (ლარში)

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგებები:
მოგება-ზარალის და სხვა კომპონენტების ანგარიშგება (Statement of Profit or Loss and Other Comprehensive Income) 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (Balance Sheet) 4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (Statement of Changes in Equity).....5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (Cash Flow Statement).....6
ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ.....7-8
დანართი.....9-14

შპს ნურ ბეიბი ს/კ 438115219
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. მოგება ზარალი და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ანგარიშის დასახელება	შენიშვნა	2024	2023
ნეტო ამონაგები		1487387	2532682
საქონლის გაყიდვიდან		1487387	2532682
გაყიდვების თვითღირებულება		(1239489)	(2110568)
საერთო მოგება		247 898	422114
შრომის ანაზღაურება ხელფასი ადმინის/გაყიდ		(62 755)	(19132)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		(141)	(91)
საპროცენტო ხარჯი		(796)	(7595)
იჯარის ხარჯი		(12 390)	(8099)
სხვა ხარჯი		(16 776)	(24 000)
სულ საოპერაციო ხარჯი		(92 858)	(58 917)
საოპერაციო მოგება		155 040	363 197
მოგების გადასხდის ხარჯი		(70 074)	(27 864)
საანგარიშო პერიოდის მოგება /ზარალი		84 966	335 633
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		575 584	398 146
განაწილებული მესაკუთრეებზე (დივიდენტი)		(397 084)	(157 895)
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		263 466	575 584

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფარიზ გუსეინოვი
25 სექტემბერი 2025 წელი

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

საწესდებო კაპიტალის სტრუქტურა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდების შესაბამისად. აქციონერებს/მფლობელებს უფლება აქვთ გაზარდონ საწესდებო კაპიტალი საერთო კრების გადაწყვეტილებით (IAS 1.79(a)).

აღიარება და კლასიფიკაცია

საწესდებო კაპიტალი აღიარებულია საკუთარ კაპიტალში იმ ოდენობით, რომელიც მფლობელების მიერ შეტანილია ფულადი ან არაფულადი (უნაღდო) შენატანის სახით, მოქმედი კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად. კაპიტალში შეტანილი თანხა კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი და არა როგორც ვალდებულება, იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას არ გააჩნია კონტრაქტული ვალდებულება ფინანსური აქტივის მიწოდებაზე (IAS 32.11, IAS 32.15).

საწესდებო კაპიტალის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის: გაცემული და სრულად გადახდილი კაპიტალის ოდენობა, ნომინალური ღირებულება და სააქციო კაპიტალის ცვლილებები ანგარიშგების პერიოდში (IAS 1.79(a)(i–iv)).

გამჟღავნება

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ინფორმაცია საწესდებო კაპიტალის შესახებ, მათ შორის:

- გაცემული და სრულად გადახდილი კაპიტალის ოდენობა;
- შეზღუდვები კაპიტალთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე, თუკი არსებობს (IAS 1.79(a)(i–iv)).

ოპერაციის შინაარსი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი	0	575584	575584
კაპიტალის ამოღება	0	(0)	0
კაპიტალის ჩადება	0	0	0
დივიდენდი	0	(397084)	(397084)
გაუნაწილებელი მოგება 2024	0	84966	84966
2024 წლის 31 დეკემბერი	0	263466	263466

4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (Cash Flow Statement)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ასახავს კომპანიის ფულადი სახსრებისა და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტების შემოდინებასა და გადინებას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. იგი მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას კომპანიის ფულადი სახსრების გენერირების და მათი გამოყენების უნარის შესახებ.

1. **საოპერაციო საქმიანობა** — კომპანიის ძირითადი შემოსავლის მომტანი საქმიანობა და სხვა საქმიანობები, რომლებიც არ მიეკუთვნება საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობას.
    - მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებულ ფულს, მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გადახდილ თანხებს, გადასახადებს და სხვა მიმდინარე ოპერაციულ გადახდებს.
2. **საინვესტიციო საქმიანობა** — გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ინვესტიციების შეძენა და განკარგვა, რომლებიც არ მიეკუთვნება ფულადი სახსრების ექვივალენტებს.
    - მოიცავს ძირითადი საშუალებების შეძენასა და გაყიდვას, არამატერიალური აქტივების შეძენას და ფინანსურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებს.
3. **საფინანსო საქმიანობა** — ისეთი საქმიანობა, რომელიც იწვევს კომპანიის კაპიტალისა და სესხების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებას.
    - მოიცავს სესხების მიღებასა და დაფარვას, დივიდენდების გადახდას და სხვა ფინანსურ ტრანზაქციებს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ლიკვიდობის, ფინანსური მოქნილობისა და ოპერაციების მდგრადობის შეფასების მნიშვნელოვან საფუძველს

ფულადი ნაკადები	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	130597	19
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	0	0
გადასახადებზე გადახდილი თანხები	0	0
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	0	0
საინვესტიციო ფულადი ნაკადები კაპიტალი შემოტანა	0	0
საინვესტიციო ფულადი ნაკადები კაპიტალი გადახდა	0	0
ფულადი სახსრების ნეტო ზრდა/(შემცირება)		
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	(13086)	(11634)
საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ფულადი სახსრები	4659	16274
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფულადი სახსრები და ექვივალენტები	122170	4659

2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ანგარიშის დასახელება	შენიშვნა	2024	2023
გრძელვადიანი აქტივები		0	0
სხვა ძირითადი საშუალებები		565	0
მიმდინარე აქტივები		1766440	1054547
მარაგები		0	0
სხვა		1766440	1054547
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		122170	4659
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		0	16284
მომწოდებლებზე გადახდილი /ავანსად გაცემული ფულადი სახსრები		0	0
ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები		16	19
სულ აქტივები		1889191	1075509
სავაჭრო ვალდებულებები		1599323	358227
საგადასახდო ვალდებულებები		26402	16128
ბანკებიდან ნასესხები თანხები		0	125570
ვალდებულება თანამშრომლებთა მიმართ			
სულ ვალდებულებები		1625725	499925
საწესდებო კაპიტალი			0
გაუნაწილებელი მოგება		262466	575584
სულ ვალდებულება და კაპიტალი		1889191	1075509

ზოგადი ინფორმაცია

შპს ნურ ბეიბი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2018 წლის 18 აპრილს. რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საგარეჯოს რაიონი სოფელი ზემო ლამბალო, საიდენტიფიკაციო ნომრით: 438115219.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ტექსტილით.

ფაქტიური მისამართია თბილისი კახეთის გზატკეცილი 112 ლილოს ბაზრობა, მაღაზია 55-56
2023 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი არის:

კომპანიის 100% წილის მფოლბელი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ფარიზ გუსეინოვი პ/ნ 36001045800	100%	100%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
შესაბამისობის დეკლარაცია -

შპს ნურ ბეიბი -ს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

შპს ნურ ბეიბი-ი განეკუთნება III კატეგორიის საწარმოს ფინანსური ანგარიშგება შესრულებულია III კატეგორიიი საწარმოების განკუთვნილი სტანდარტით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) მოთხოვნების შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს (მოიცავს) 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და 31 დეკემბრის დასრულებულ საანგარისგებო პერიოდს.

შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) -ქართული ლარს. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება-ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის

საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.
არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაბამისი ფინანსური რეზერვი აგრეთვე, კომპანიის ფინანსური მდგრადობის გარანტია წმინდა აქტივების ღირებულება და ლიკვიდობის მაღალი დონე, რაც საფრთხეს არ უქმნის კომპანიას ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.
ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ძირითადი საშუალებები - კომპანიის ბალანსზე არსებული სხვხვა ძირითადი საშუალებები (გარდა მიწისა და შენობისა) აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის ღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

აქტივი ძირითადი საშულაებები	საბალანსო ღირებულება 01.01.2024	შეძენა	ამორტიზაცია	გადაფასება	საბალანსო ღირებულება 31.12.2024
კომპიუტერები	0		141	706	565
ტრანსპორტი	0		0		0
საწყობის ინვენტარი	0		0		0
ჯამი	0		141		565

სტანდარტზე დაყრდნობით (IAS 16 Property, Plant and Equipment):
„IAS 16-ის შესაბამისად, ძირითადი საშუალება სრულად არის ამორტიზებული, მისი საბალანსო ღირებულება 2023 წელს ნულის ტოლი გახდა და ბუღალტრულ აღრიცხვაში დარჩა ასახული, აქტივს ორგანიზაციისთვის მოაქვს ეკონომიკური სარგებელი.“აღნიშნული ძირითადი საშუალების სამართლიანი ღირებულება შეფასდა 706 ლარად 2024 წლის დასაწყისში.

ძირითადი საშულაებების ცვეთა	2023	2024
ცვეთა	(91)	(141)
სულ	(91)	(141)

ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავალი	2023	2024
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	2532682	1487387
სულ შემოსავალი	2532682	1487387

გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს წლის განმავლობაში რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება "ფიფოს" მეთოდი. გაყიდვების თვითღირებულება 2022 და 2023 წლების წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გაყიდვების თვითღირებულება	2023	2024
პროდუქციის თვითღირებულება	(2110568)	(1239489)
სულ	(2110568)	(1239489)

შრომის ანაზღაურება

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ხელფასის ხარჯი, 2023 და 2022 წლებში შესაბამისად შეადგინა:

შრომის ანაზღაურება	2023	2024
ხელფასი	(13903)	57526
ანაზღაურებადი შვებულება	(5229)	5229
სულ	19132	62755

იჯარა -ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

იჯარა	2023	2024
იჯარა	(8099)	12390
სულ	8099	12390

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2024
საგადასახადო ხარჯი ქონება	(1)	(3)
საკონსულტაციო საბუღალტრო მომსახურეობა	(5974)	(7118)
საბანკო ხარჯი	(2172)	(2053)
საპენსიო შენატანის ხარჯი	(1500)	(1000)
სალარო აპარატის მომსახურება	(178)	(102)
საბაჟო მომსახურება	(14175)	(6500)
სულ ხარჯი	(24000)	(16776)

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.
როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებული იქნა შესაბამისი ამონაგები.
გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილის მეთოდი.

სასაქონლო მატერიალური მარაგები	2023	2024
მარაგები	1054547	1766440

შპს ნურ ბეიბი ს/კ 438115219
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის (ლარში)

სულ	1054547	1766440

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები-მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის /მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.
მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2024
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	16284	0
სულ მოთხოვნები	**16284**	**0**

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები (ლარი)

	2023	2024
ფულადი სახსრები და ექვივალენტები		
ნაღდი ფული სალაროში	4657	97530
ფული ბანკში (ეროვნულ ვალუტაში)	2	24638
ფული ბანკში (უცხოურ ვალუტაში)	0	2
სულ	**4659**	**122170**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2024
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
ფინანსური ვალდებულებები სესხი	(125570)	(0)
სავაჭრო ვალდებულებები	(571851)	(1599323)
საგადასახადო ვალდებულება	(16128)	(26402)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**499925**	**1625725**

კრედიტორული დავალიანება

დღეის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია კრედიტორული დავალიანებები იმპორტიორ მომწოდებლებთან:

მომწოდებელი	ვალდებულების ოდენობა (ლარი)	შენიშვნა
ARAN TEKSTIL SAN. VE TIC. A. S. (თურქეთი)	1,419,696	გადასახდელი
CANSU HAVLU KEMAL COBAN (ტურქეთი)	179,627	გადასახდელი თანხა სრულად დაფარულია ანგარიშგების მომზადებამდე

სულ კრედიტორული დავალიანება: 1,599,323 ლარი

აღნიშნული ვალდებულებები აღიარებულია როგორც გადაუხდელი ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ (IFRS 9-ის შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით), და ასახულია მოკლევადიან ვალდებულებებში.

კომპანიის ხელმძღვანელობას სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია კომპანიას მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

უცხოური ვალუტა	აშშ	ევრო	ფუნტი სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753	3.4228
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306	3.5349

სარეკომენდაციო შენიშვნები

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისთვის იყენებს საბუღალტრო პროგრამას „ორის ბუღალტერია 5“ . აღნიშნული პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს კომპანიის საჭიროებებს, რის შედეგადაც საწარმოს შეექმნა არაერთი პრობლემა, მათ შორის:

- მარაგების ზუსტი თვითღირებულებით აღრიცხვის შეზღუდული შესაძლებლობა.
- უცხოური ვალუტის კურსებთან დაკავშირებული სირთულეები.

მეტი კონტროლისა და ფინანსური ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად, საჭიროა უფრო მრავალფუნქციური და მაღალი კონტროლის დონის მქონე სააღრიცხვო სისტემის დანერგვა.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის ხელმძღვანელობამ შეცვალა არსებული საბუღალტრო პროგრამა და დანერგა საცალო გაყიდვების აღრიცხვის ახალი მოდული, რაც წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკაში განხორციელებულ ცვლილების შედეგს.